პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
შაბათი, 22 ივლისი 1924 წ.
წელიწად- მეოთხე
ფასი 3 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 553 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

ქართული წითელი ლაშქრის ყველა ნაწილების სამხკომებს.

პატივცემულო ამხანაგებო!

რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერ-კავკასიის რაიონულ კომიტეტის მოთხოვნილების თანახმად, ამით გთხოვთ სასწრაფოდ გამოგზავნოთ მოკლე ანგარიში კოოპერატიული დღის ჩატარების შესახებ.

საბუთი: ზაკცენტროსოიუზის ტელეფონოგრამა № 7086.

მთლიანი სამხედრო კოოპერატივის გამგეობის
თავმჯდომარის მოად. **ვ. ბახტაძე.**
მდივანი:

17 ივლისი 1924 წ.

ტანთსაცმელს მოვლა უნდა.

დღეს ჩვენს გაზეთში მოთავსებულია ამხ. ტროცკის მიმართვა წითელ ჯარში მყოფ პირთა მიმართ—შესახებ სახმარად მიღებულ სახაზინო ნივთების მოვლა-პატრონობისა.

ჩვენი სახელმწიფო მუშურ-გლეხურია. იგი სულ ეხლახან წარმოიშვა. არ არის აღორძინებული ეკონომიურად. მისთვის ერთი გროშის დაკარგვაც დიდ დანაკლისს შეადგენს.

ჩვენს სასოფლო-მეურნეობას ახალ ყაიდაზე ესაჭიროება მოწყობა. ამისთვის თანხაა საჭირო.

ჩვენი სახელმწიფოს ასეთი მდგომარეობა გვავალებს ყველას მოუაროთ სახელმწიფო ქონებას, როგორც საკუთარ თვალს.

ეს ითქმის საზოგადოთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ყველა მოქალაქეზე, მით უფრო ითქმის ეს სამხედრო ნაწილებზე.

სამხედრო ნაწილები სახელმწიფოს ხარჯზე ინახებიან. ჩვენი ღარიბი მუშა და გლეხი გვაცმევს, გვაჭმევს და გვახურავს ჩვენ.

ღარიბია ჩვენი სახელმწიფო, მაგრამ იგი თავს არ იზოგავს მოუაროს და უპატრონოს რევოლიუციონურ წითელ არმიას.

დღეს თითქმის ყველა ჩვენთაგანი დაკმაყოფილებულია თავის სარგოთი. აქვს საცვლები, ფარაჯა, ფეხსაცმელები და სხვა.

უბედურება მხოლოდ ისაა, რომ ზოგიერთებს არ ესმით და სახაზინო ქონებას ვაჭრებსა და ჩარჩებს უყრიან ხელში.

ასეთი საქციელი სისაძაგლეა და ბოროტება.

პატიოსანი მოქალაქე არ ჩაიდენს მას.

წითელ არმიელი-კი, როგორც დამცველი რევოლიუციონურ სახელმწიფოსი პატიოსნებით აღსავსე უნდა იყოს.

ამიტომაც ჩვენს შორის არ უნდა იყოს არც ერთი მახინჯი წევრი, რომელიც ძირს უთხრიდეს ჩვენს სახელმწიფოს, ჩირქს სცხებდეს წითელ არმიას.

ჩვენ ყოველივე ზომები უნდა ვიხმაროთ ამ არანორმალურ მოვლენის თავიდან ასაცილებლად. გაუსწორებელ პირებთან სასტიკნი უნდა ვიყვნეთ.

ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი ხელისუფლება.

მაგრამ მარტო ეს ზომები არ კმარა, ე. ი. არ კმარა მხოლოდ ის, რომ ჩვენ მოცემული სარგო ბაზრათ არ გავიტანოთ და ჩარჩებს არ მივსცეთ ჩალის ფასად. არის მეორე მხარეც, რომელიც ჩვენ პირველზე არა ნაკლებ უნდა შევასრულოთ. ეს გახლავთ ხმარება მოცემულ ტანთსაცმელ-ფეხსაცმელისა ისე, რომ მან უფრო დიდი ხნით გაგვიძლოს. ამისათვის საჭიროა ყოველ წუთში მითვალთვალებული ვიყოთ და ოდნავ წახდება რამე თუ არა ნემსითა და ძაფით შევაკეთოთ. თუ ამ ორ მთავარ მოთხოვნილებას ჩვენ სისწორით შევასრულებთ, მაშინ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ მხრივ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინაშე პირნათელნი ვართ.

ამიტომ ვეცადოთ ყველამ, ვით ერთმა, შევასრულოთ ჩვენი უფროსი ამხანაგის **ტროცკის** თხოვნა და მომართვა.

ამხ. ტროცკის მიმართვა

წითელ არმიელების, მეთაურების და კომისრებისადმი.

გაუფრთხილდით ტანთსაცმელს, რიგიანად შეინახეთ წითელ არმიელის წიგნაკი.

ამხანაგებო წითელ არმიელებო, მეთაურებო და კომისრებო!

ხალხის ქონების დიდათ დაჭიმვის შემდეგ წითელ ჯარის ყოველივე საჭირო ნივთებით მომარაგება აყვანილია 100 პროცენტით.

ამ ჟამად ყოველ წითელ არმიელს აქვს ფარაჯა, ხალათი, შარვალი, საცვლები და ფეხსაცმელი.

ჩვენი ქვეყნის სიღარიბის გამო ამის გაკეთება ადვილი საქმე არ იყო. ყოველივე ზემომოყვანილ საგნებით წითელი ჯარი რომ უზრუნველვეყო, ამისათვის საჭირო გახდა შეგვემცირებია რესპუბლიკის სხვა აუცილებელი ხარჯები.

ამხანაგებო წითელ არმიელებო!

გაუფრთხილდით მიღებულ ტანთსაცმელს. ისწრაფეთ რესპუბლიკას შეუმსუბუქოთ თქვენი შენახვა. გახსოვდეთ, რომ თქვენზე მოცემული ტანთ საცმელი არის მუშათა და გლეხების ქონება.

თქვენი ვალია დაიცვათ ეს ქონება გაფუჭებისაგან და უდროვო დაცვეთისაგან, რითაც გადაარჩენთ ზედმეტ კაპეიკს მუშათა და გლეხთა მეურნეობის აღსადგენად.

ტანთსაცმელის რიგიანად შენახვა შეიძლება ორი საშუალებით: წესიერი ხმარებით და თავის დროზე შეკეთებით. ყოველ დღე, დილას, ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი გულმოდგინეთ უნდა იქნეს დათვალიერებული და გაწმენდილი. წესიერად გაწმენდილი ტანთსაცმელი ორჯერ მეტ ხანს სძლებს. ყოველი მოწყვეტილი ფოლაქი მაშინვე უნდა იქნას მიკერილი, გარღვეული თავის დროზე უნდა იქნას გაკერილი. გახსოვდეთ, რომ მუშათა და გლეხთა მხრივ ბინძურათ ჩაცმულ წითელ არმიელს არ აქვს პატივისცემა. თუ მოსალოდნელია ისეთი შავი სამუშაო, რომლის დროს ტანთსაცმელს მოელის გაჭუჭყიანება და გაფუჭება, მაშინ ეცადე სამუშაო ტანთსაცმელში შეასრულო ეს. ტანსაცმელის გაფუჭებაში დამნაშავე წითელი არმიელი—ცუდი მოქალაქეა, ცუდი მხედარია და როგორც ასეთი სასტიკი პასუხის გებაში უნდა იქნეს მიცემული.

მეთაურებო და კომისრებო!

გარდა იმისა, რომ თქვენი მოვალეობაა სასტიკად ადევნოთ თვალყური წითელ-არმიელის მიერ ქონების დაცვას, თქვენ თვითონ უნდა უჩვენოდ ტანთსაცმელის რიგიანად შენახვის მაგალითი. მხოლოდ პირადი მაგალითების ჩვენებით შეიძლება აღზარდოთ წითელ-არმიელი, როგორც მოქალაქე და სამნეო ნაწილისადმი გულშემატკივარი.

რომ სისწორით იქნას აღრიცხული და შემოწმებული, თუ სახელდობრ რომელი ქონება მიეცა წითელ-არმიელს, ამისათვის არსებობს სამსახურის წიგნაკი.

სამსახურის წიგნაკი ერთად ერთი საბუთია, რომელიც ამოწმებს წითელ-არმიელის მიერ მიღებულს, როგორც ფულს, ისე ნივთს.

უფდაპოლიტ შემადგენლობა რეგულიარულად უნდა ამოწმებდეს წიგნაკი აქვს თუ არა წითელ-არმიელს და სისწორით სწარმოებს თუ არა მასში ჩაწერა. მხოლოდ ამ პირობების დაცვის შემდეგ წიგნაკი შეძლებს თავის დანიშნულების გამართლებას.

ამხანაგო წითელ არმიელო!

გაუფრთხილდი მიღებულ სამსახურის წიგნაკს, ადევნე თვალ-ყური წესიერად და თავის დროზე იწერება თუ არა მასში. გახსოვდეს, რომ ეს საბუთია, რომლის ძალით შენ შეგიძლია მოთხოვნა ყველა იმისა, რაც შენთვის გადადებულია და გეკუთვნის.

ს. ს. რ.-კ. რევსამხსაბჭოს თავმჯდომარე

ლ. ტროცკი.

საფრანგეთი საბჭოთა კავშირის ცნობის წინ

ერიოს დეპეშა ამხ. ჩიჩერინისადმი.

ერიომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ამხ. ჩიჩერინს:

15 ივლისი.

მთავრობის დეკლარაციაში მე განვაცხადე ჩემი განზრახვა მომემზადებია ნიადაგი ნორმალურ ურთიერთობის აღსადგენად საფრანგეთსა და რუსეთს შორის.

ამის გამო მე განკარგულება გავეცი, რათა საფრანგეთში შემოსვლის მსურველ რუსეთის მოქალაქეებს დაუბრკოლებლივ მიეცეს სათანადო ნებართვები.

მაგრამ იმავე დროს საბჭოთა წარმომადგენლები საზღვარ-გარედ სისტემატიურად ეუბნებიან უარს საფრანგეთის მოქალაქეებს—მისცენ საჭირო საბუთები რუსეთში შესვლაზე.

კერძოდ თქვენმა ელჩებმა ლონდონში თანახმად თქვენი ინსტრუქციებისა, გააუქმეს ნებართვები, რომლებიც გაცემული იყო საფრანგეთის ნავთის კომპანიის წარმომადგენლებზე.

ჩემი სურვილი იყო, რათა თქვენი მხრითაც ყოფილიყო ისეთი განზრახვა, როგორიც არის ჩემში, რომ გაგვადვილებოდა საკითხის გადაჭრა, რომელსაც მე შევუდგები ლონდონის კონფერენციის შემდეგ.

ამხ. ჩიჩერინის საპასუხო დეპეშა.

18 ივლისი.

საბჭოთა მთავრობა დიდის კმაყოფილებით იღებს მხედველობაში თქვენს მეგობრულ განცხადებას ჩვენს ქვეყნებს შორის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

ჩვენი მთავრობა სიამოვნებით შეხვდა აგრეთვე თქვენს განზრახვას მიანიჭოთ რუსეთის მოქალაქეებს ფართე საშუალება საფრანგეთში შესვლისათვის.

ჩვენი მთავრობა ისეთივე მეგობრული და კეთილი სურვილებით შეუდგება ამ საკითხებს, როგორც სხვებს და განიხილავს ცალკე, კერძო შემთხვევებსაც იმავე მეგობრული განზრახვით.

საფრანგეთის მოქალაქეებსაც ისეთივე უფლებები მიენიჭება ამ მხრივ, როგორც სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც ჩვეულებრივად აწარმოებენ ჩვენს სავაჭ. წარმომადგენლებთან ეკონომიური ხასიათის მოლაპარაკებას მოსკოვში გამგზავრებამდი.

დაგვიანება და დაბრკოლებები ამ მხრივ საფრანგეთის მიმართ შედეგია იმ გარემოებისა, რომ ჩვენს მთავრობებს შორის არ არსებობს ნორმალური ურთიერთობა, რაშიაც საბჭოთა მთავრობა არ არის პასუხის მგებელი.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

„პრავდას“ წერილი.

19 ივლისის „პრავდა“ წერილში—„მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის“ შესახებ ამბობს: „მოახლოვდა კომპანია მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებისა სოფლად. მას აქვს არა მარტო დიდი საბიუჯეტო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც.

მომავალ კომპანიის ჩატარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საოლქო აღმასკომებს.

ფინანსთა და სასურსათო კომისარიატების საოლქო საგადასახადო აპარატები ყოველგან უქმდება.

გადასახადის შეკრების საქმე სავსებით ეკისრება საოლქო აღმასკომებს.

მოუსავლობა მთელ რიგ რაიონებში იწვევს სახელმწიფოსაგან ხარჯებს—დაზარალებულ მოსახლეობის დახმარების სახით. ყოველივე ეს მოითხოვს მომავალში დიდ სახსარს.

ხოლო დახმარება განხორციელდება სათანადოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო კომპანია წარმატებით ჩატარდება სოფლად.

მოუსავლიან რაიონების მოსახლეობაზე დახმარება პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აასრულებს მოსავლიან ადგილების გლეხობა თავის საგადასახადო ვალდებულებას.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს იღებს შეუმსუბუქოს გლეხობას სამეურნეო გადასახადის საქმე.

გამოშვებული საგლეხო სესხი შეღავათს აძლევს გადამხდელს ათი პროც—ით.

ყოველივე ეს უნდა აუხსნათ გლეხთა მასებს.

უნდა გაცნობილ იქნას ყოველი გლეხის ოჯახი სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, მის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირისათვის, გლეხთა მეურნეობისა და მოუსავლიან ადგილებისათვის.

ამ საქმეს საჩქაროდ უნდა შევუდგეთ.

საბჭოთა ფედერაციაში

სოფ. კორესპონდენტის მკვლელობის გარშემო.

ნიკოლაევში სოფლის კორესპონდენტის მოკვლის გამო დაპატიმრებულია ოთხი კაცი, რომლებსაც წინად საპასუხისმგებლო ადგილები ეჭირათ სოფლად.

20 საათი ჰაერში.

მოსკოვში დაბრუნდენ სფერიულ აეროსტატით ფრენაში მონაწილენი, რომლებიც გადაფრინდენ მოსკოვიდან ავიაციის დღეს.

აეროსტატმა ,,აერო‘‘-მ დაჰყო ჰაერში 20 საათი და გაიარა 360 ვერსი.

საწარმოო თათბირი.

ამხ. ძერჟინსკის თავმჯდომარეობით მოხდა ტრესტების, სინდიკატების, სრულიად კავშირის პროფკავშირთა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წარმომადგენლების თათბირი. თათბირის მიზანი იყო: მთავარი ეკონომიური სამმართველოს მოხსენების განხილვა შრომის წარმოებისა და მის გასაძლიერებელ ზომების შესახებ.

კრების გახსნის დროს ამხ. ძერჟინსკიმ აღნიშნა, რომ თათბირის მიზანია ყველა ორგანოების გაერთიანება შრომის ნაყოფიერების გაძლიერების მიზნით.

ეკონომიურ სამმართველოდან მოხსენება გააკეთა ამხ. გინსბურგმა, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოების დაბალ—საფეხურზე დგომის მიზეზია მოწყობილობის გაცვეთა, ნედლი მასალის სიმცირე, მუშათა კვალიფიკაციის შესუსტება და შრომის ინტენსივობის დაწევა.

წარმოებებში საჭიროა მოხდეს შევსება და გადაჯგუფება ცხენებისა და განყოფილებების, მსგავსი დაწესებულებების ქსელის გადასინჯვა და ახალი, კვალიფიციურ მუშათა კადრის შექმნა.

კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვაში ამხ. ძერჟინსკიმ განაცხადა: „დღევანდელი კრება სვამს საკითხს წარმოების მაქსიმალურ გაძლიერების შესახებ.

დღეიდან ჩვენმა მეურნეებმა უნდა მიაქციონ დიდი ყურადღება ამ საკითხს.

ყოველ ქარხნის დირექტორს, ყოველ ტრესტის მუშას ეს ამოცანა უნდა ჰქონდეს წინ.

მათ ევალებათ განიხილონ მიღწევები და აღნიშნონ ნაკლი, რომელიც ხელს უშლის საკითხის გადაჭრას.

ახალგ. კომინტერნის კონგრესი.

18 ივლისის დილის სხდომაზე ილაპარაკეს ამერიკის, ჩეხო-სლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის, ჩინეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის და პოლონეთის წარმომადგენლებმა, რომლებმაც აღწერეს თავიანი ქვეყნების კომკავშირების მდგომარეობა.

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა დისკუსია ამხ. ამხ. მანუილსკისა და შიულლერის მოხსენებების გარშემო.

ყველა სექციის წარმომადგენლები აღნიშნავენ კომინტერნისა და ახ. კომინტერნის ხაზის სისწორეს.

19 ივლისის დილის სხდომაზე კამათი გრძელდება და ბოლოს საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. შიულლერი.

ინტერვენციით გამოწვეულ ზარალის გამომკვლევი კომისია.

სსრკ-ს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაარსოს საგარეო საქმეთა კომისარიატთან კომისია, რომელიც განიხილავს ინტერვენციით დაზარალებულ მოქალაქეთა საქმეებს.

კომისია შედგენილ იქნება ამხ. სემაშკოს თავმჯდომარეობით.

ზარალი ინტერვენციის გამო.

წინაწარ გამოანგარიშების თანახმად ურალის მრეწველობის ზარალი, რომელიც გამოწვეულ იყო ინტერვენციით, აღემატება 539 მილიონ მანეთს.

მცურავი გამოფენა.

რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის სამხრეთ-აღმოსავლეთის განყოფილება აწყობს საჩვენებელ მცურავ გამოფენას, რათა გააცნოს აღმოსავლეთის ბაზარს საბჭოთა საქონელი.

ცოცხალი თევზების გადაზიდვა თვითმფრინავებით.

უკრაინის საჰაერო გზის სამმართველომ მოაწყო ცოცხალი თევზების გადაზიდვა თვითმფრინავებით ოდესიდან ხარკოვში. თევზებს ათავსებენ სპეციალურ ქვაბებში.

გლეხთა ლტოლვა კომპარტიაში.

ბახმუტი. სოფლის საჭიროებისა და სოფლის უჯრედების მდივნების თათბირზე როგორც გამოირკვა, დიდ კლასიურ დაყოფას აქვს ადგილი სოფლად. გლეხები დიდ ლტოლვას იჩენენ კომპარტიის რიგებისაკენ.

მოკავშირეთა კონფერენცია.

მეორე კომისიაში მყოფ ბრიტანეთის წევრებმა წინადადება შეიტანეს, რათა 15 აგვისტო დადგენილ იქნას, როგორც ოფიციალური თარიღი, რომლის შემდეგაც დოუესის გეგმა შედის ძალაში.

მაგრამ საფრანგეთის და ბელგიის წევრებმა უარყვეს ყოველგვარი განსაზღვრული თარიღი და განაცხადეს რომ დოუესის გეგმა შეიძლება ჩაითვალოს ძალაში შესულად მხოლოდ სხვა და სხვა თანმიმყოლ საფეხურების შემდეგო.

გერმანია ელოდება მიწვევას კონფერენციაზე.

ბერლინში მოუთმენლად მოელიან კონფერენციის გადაწყვეტილებას გერმანიის მონაწილეობის შესახებ კონფერენციაზე.

კონფერენციის მუშაობა.

ინგლისის გაზეთების კვირის ნომრებში აღნიშნულია, რომ ლონდონის კონფერენციის მუშაობა წინ მიიწევს.

„ობსერვერი“ სწერს: „თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ პირველ ოთხ დღეში კონფერენციამ გამოარკვია საკითხების ყველა სიძნელენი, მაგრამ ამ დღეებში დაიბადა ერთგვარი იმედები, რომ მიღწეული იქნება სრული წარმატება და 'კონფერენციის მუშაობა დასრულდება ერთკვირაში.

გაზეთი „სანდ ტაიმსი“ ამბობს: „მთავარი მუხლი, რომელიც განსაკუთრებით წამოიჭრა სხვებს შორის ეს არის დოუესის გეგმის საკითხი, რომელიც სრულ ნდობას დაიმსახურებდა და დააკმაყოფილებდა საერთაშორისო ფინანსიურ ბაზარს“.

უთანხმოება რაშია.

როგორც კომისიის დღევანდელი მუშაობის მსვლელობიდან სჩანს, კონფერენციის სხდომა სამშაბათზე უფრო ადრე არ მოხდება.

ბრიტანეთის და საფრანგეთის წევრებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ გერმანიისადმი დამოკიდებულების საკითხში. ფრანგებს სურთ წარუდგინონ გერმანიას მოკავშირეთა დასკვნა, რათა გერმანიამ მიიღოს ის მთლიანად.

ბრიტანეთის წევრები მოითხოვენ, რომ გერმანიამ უნდა მოაწეროს ხელი ახალ ხელშეკრულებას დამოუკიდებლად ვერსალის ხელშეკრულებისა, მაგრამ ამასთან უნდა მიეცეს მას შესაძლებლობა გამოსთქვას თავისი აზრი და იმსჯელოს ზოგიერთ მეორე ხარისხოვან ცვლილებებზე, რომელიც მას შეუძლია შეიტანოს.

ეს საკითხი არ განხილულა პლენარულ სხდომაზე და არ დაისმება მანამ, სანამ ყველა კომისიები არ წარმოადგენენ თავიანთ მოხსენებებს.

დღეს მოხდება თათბირი კელონგს, მაკდონალდს, ერიოს, ტენისსა და სტეფანის შორის, რომელთა მიზანია ამ საკითხის გადაჭრა.

„დეილი მეილის“ კორესპონდენტის აზრით ამერიკელები გაიზიარებენ ბრიტანეთის წევრთა აზრს რურის რკინის გზების შესახებ.

ბულგარეთი.

ეშინიათ კომუნისტური რევოლიუციის·

„ეროპ“-ის სააგენტო ავრცელებს ხმებს, ვითომც საბჭოთა მთავრობა ხელს უწყობს რევოლიუციონური მოძრაობის გაღვივებას ბულგარეთში.

სააგენტოს ცნობით, ბულგარეთის მთავრობამ, მოსალოდნელ გადატრიალების გამო, მიმართა რუმინეთს, რათა უკანასკნელმა დაახმაროს მას ჯარი, თუ აჯანყებას ექნება ადგილი.

რუმინეთმა ვითომც გაგზავნა ერთი კორპუსი ჯარი შავი ზღვის სანაპიროებში.

სააგენტოს ცნობით კომუნისტურ რევოლიუციას ბულგარეთში აქვს შანსები გამარჯვებისათვის, ვინაიდან, საბჭოთა მთავრობა (სააგენტოს აზრით) მოახდენს გავლენას რუმინეთზე—ბესარაბიის წართმევის მუქარითო.

ანგორის მთავრობამ (სააგენტოს ცნობით) მიიღო ბულგარეთიდან მსგავსი თხოვნა, მაგრამ მას პასუხი ჯერ არ გაუცია.

რადიო ყოველ მხრიდან

აჯანყება ჩინეთში·

ადგილობრივ ძალთა ბოროტმოქმედების გამო პროვინცია—ანასეს ზოგიერთ ქალაქებში იფეთქა აჯანყებამ.

აჯანყებულები უწოდებენ თავის თავს სახალხო არმიას, მოითხოვენ ადგილ. ხელისუფალთა გადაყენებას და ტერიტორიის მმართველობის გადაცემას აჯანყებულებზე.

მთავრობა თავს უყრის აჯანყების რაიონში ჯარებს, მაგრამ ჯერჯერობით უკანასკნელები ვერ უმკლავდებიან აჯანყებულებს.

ძლიერი მიწის ძვრა

15 ივლისს ტაშკენტში ძლიერი მიწის ძვრა მოხდა. მიწის ძვრის ცენტრი იმყოფება სსრკ-ს და ავღანისტანის საზღვარზე.

გადასახლება.

1-ლ მარტიდან 15 ივნისამდე ბელორუსიიდან ვოლგაზე გადმოსახლდა 349 გლეხის ოჯახი, რიცხვით—4.000 სული.

ნება დართულია კიდევ 2.000 კაცის გადმოსახლება.

ყურადღება სამხედრო ტეხნიკას.

მთავარი ამოცანა ყოველ ცოცხალ შეიარაღებულ ძალისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი იყოს ზედმიწევნით მოქნილი, შეეძლოს იხმაროს იარაღი სათანადოთ და, რაც ყველაზე მთავარია ცოტა დანაკლისით დაამარცხოს მტერი. გამარჯვებაც ამაში გამოიხატება. შეიძლება, რასაკვირველია, მტერი დამარცხებულ იქნას, მაგრამ ამ დამარცხებას შეეწიროს დიდძალი სიმდიდრე ხალხითა და ქონებით. ასეთი გამარჯვება არ არის გამარჯვება და მისი ხელმძღვანელიც დაფნის გვირგვინს ვერ ატარებს.

ამ მიზნის მისაღწევათ, ე. ი. კარგი მომზადებული და მოქნილი ჯარის შესაქმნელად, უპირველეს ყოვლისა საჭიროა შევისწავლოთ სპეციალობის მიხედვით სათანადო იარაღის ხმარება.

მაგრამ არის მეორე მხარეც, ურომლისოდაც ვერაფერს ვერ გახდება კარგი მსროლელი და კარგადაც შეიარაღებული.

მე მოგახსენებთ სამხედრო ტეხნიკაზე—ფორთიფიკაციაზე. მტრის ცეცხლმა ვერ უნდა ნახოს ჩვენი რიგები; მისი ტყვია და წამალი ტყუილად უნდა იკარგებოდეს.

ამას მივახწევთ ჩვენ ბრძოლის ველათ სანგრების მოწესრიგებით, თვითეულ მსროლელის შეგუებით სამოქმედო ველზე.

უკანასკნელ ომში დიდი მნიშვნელობა ქონდა თვითეულ მხედრის მიერ საკუთარი ხელით მოწყობილ თხრილებს, ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალში.

ეს გარემოება გვაიძულებს იარაღის ხმარებასთან ერთად შევისწავლოთ წერაქვ-ნიჩბის ხმარებაც, შევისწავლოთ სარგებლობა იმ სანგრებისა, რომელსაც წინასწარი მიზნით აკეთებს საინჟინერო ნაწილები.

მხოლოდ ამ მოქმედებებს ესაჭიროება გაშლილი მინდვრები და ველები.

ქალაქად დგომის დროს ჩვენი სამხედრო ნაწილები ამ მხრივ ცუდ პირობებში იმყოფებიან.

ეხლა კი ბანაკად ყოფნის დროს ყველა პირობები ხელს გვიწყობენ.

ამიტომაც ჩვენმა ჯარის ნაწილებმა ყოველი ზომა უნდა იხმაროს, რათა სათანადოთ ისარგებლონ ამ დროის განმავლობაში.

ყოველ ცალკე ნაწილს თვალსაჩინოდ შეუძლია გახადოს სამხედრო ტეხნიკა თვითეულ წითელ არმიელისათვის; მხოლოდ ამას უნდა ყურადღების მიქცევა, გეგმების დასახვა და ამ გეგმების ცხოვრებაში გატარება.

ეს ჩვენი სამხედრო ნაწილის საქმეა.

ვესწრაფოთ, რაც შეიძლება მეტი ვისარგებლოთ ბანაკად ყოფნით ფორტიფიკაციის ამოცანების შესასრულებლად.

აი დღევანდელი ჩვენი ამოცანა.

პიერ.

სალამი მეხუთე ქართულ მსროლელ ლეგიონს, მისი არსებობის სამი წლის თავზე.

ჩვენ
წითელ
ჯარში

მეხუთე ლეგიონის სამი წლის არსებობის თავზე.

(ყოფ. მესამე ლეგიონი)

წელს, ივლისის რიცხვებში შესრულდა 3 წელი, რაც მებრძოლ ასპარეზზე გამოვიდა ქ. მ. დივიზიის მეხუთე ლეგიონი. 3 წელი არ არის ხანგრძლივი დრო, მაგრამ მას ახასიათებს შინაარსიანი წარსული. სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, იმავე დროს (1921 წ.) 30 აპრილიდან არსდება ქ. ქუთაისში მე-8 ქართული მუშათა და გლეხთა მსროლელი ლეგიონი, რომლის მეთაურადაც დაინიშნა თანახმად ს. ს. ს. რ. სახალხო სამხედრო საზღვაო კომისარიატის ბრძანებისა ამხ. მ. ჭავჭანიძე.

ამხ. ვ. ჯაფარიძე.

მე-5-თე ტერ-ლეგიონის მეთაური.

ეს ამხანაგი ასრულებდა სამხკომის მოვალეობასაც. აქედან ჩაისახა ჩვენი ლეგიონი. მისი შემადგენლობა ასეთი იყო:

27 მეთაური და ხუთი წ. არმიელები

ლეგიონმა იარსება ამავე წლის 19 ივლისამდე, ხოლო შემდეგ მოხდა მე-9-ე ლეგიონის და მე-8-ე ლეგიონის გაერთიანება.

მეცხრე ლეგიონის მეთაური ამხ. ს. ლექვთაძე ინიშნება მერვე ლეგიონის მეთაურათ და სამხკომათ ამხ. ა. გორდელაძე; მათ თან გადმოყვა ქუთაისში 25 მეთაური და შეუდგენ ლეგიონის აღმშენებლობის საქმეს.

ამავე დროს ქუთაისში იმყოფებოდა სადარაჯო რაზმი, რომელსაც შეუერთდა ხსენებული ლეგიონი და რომლის შემადგენლობიდან ლეგიონის შესავსებათ გამოიყო 25 საშვალო მეთაური და 680 წითელი ლაშქრელი.

ამ რიგად ლეგიონი თანდათან ყალიბდებოდა გამოცდილი ინიციატორების ხელში.

ლეგიონში ამ დროს იმყოფებოდა 61 მეთაური და 681 წ. მოლაშქრე.

1921 წ. 1 ოქტომბრიდან ხსენებულ ლეგიონის გადახალისების გამო მიენიჭა მას ,,მესამე,საძირითადო ლეგიონის“-ს ახელწოდება, რომლის პერსონალური შემადგენლობა ძველი შტატის მიხედვით დარჩა უცვლელად, მაგრამ 1921 წ. 27 დეკემბრიდან იწყება საქართველოს ჯარების გადახალისება და ლეგიონს ეწოდა „მესამე ქვეითა ქართული ლეგიონი“.

1922 წ. 7 აპრილიდან ლეგიონის დროებით მეთაურად ინიშნება ამხ. ნ. ბერიშვილი, რადგანაც ამხ. ს. ლექვთაძე გადაყვანილ იქნა ქართულ შეერთებულ დივიზიის უფროსად, ხოლო ამავე წლის 7 ივლისიდან ლეგიონი ბარდება ამხ. კუპრაშვილს.

გასული წლის ივლისის თვეში, ლეგიონმა იდღესასწაულა ორი წლის არსებობის თავი, მან ჯამი გაუკეთა ორი წლის მუშაობას. მესამე წლის განმავლობაში ლეგიონს დიდი წარმატება დაეტყო.

მას შემდეგ, რაც კუპრაშვილი იქნა დროებით გადაყენებული, მის ადგილას დაინიშნა ამხანაგი ალლაძე.

ლეგიონის თავი ამხ. ალლაძე და სამხკომი ჯანგველაძე ენერგიულად მუშაობდენ და ამ მუშაობის დროს მათთან იყო ლეგიონის უფშემადგენლობა და მთელი სასიცოცხლო ძალები.

ამხ. ნოე ბარამიძე.

მე-5-თე ტერ-ლეგიონის სამხკომი.

1924 წ. მაისის რიცხვებიდან კვლავ მოხდა ცვლილება ლეგიონში. როგორც ვიცით შესდგა მეორე ქართულ მსროლელთა ქვეითა ტერ. დივიზია; პირველი დივიზიის შემადგენლობას გამოეყო მესამე ქართული ქვეითა ლეგიონი, მეხუთე ქართულ ტერ-ლეგიონის სახელწოდებით. ამავე დროს სამკომი ამხ. ვანო ჯანგველაძე გადაყვანილი იქნა 1 დივიზიის პოლიტ-განყოფილების განკარგულებაში და მის ადგილზე დაინიშნა ენერგიული მუშაკი ამხ. ნოე ბარამიძე.

ამხ. ალლაძის მაგივრად, ლეგთავის თანამდებობაზე დაინიშნა ამხ, ვ. ჯაფარიძე.

დღეს, ჩვენი ლეგიონი ზეიმობს თავისი არსებობის სამი წლის თავს განაკში, რომელზედაც მოწვეულნი არიან, როგორც სოფლის გლეხობის წარმომადგენლები, ისე სხვა და სხვა საბჭოთა დაწესებულებებიდან და სამხედრო ნაწილებიდანა.

ს. უ.

ძლევნად მეხუთე ლეგიონს.

(სამი წლის თავზე)

სამი წელი და საქართველოს ურჩი ლაშქარი,
ალმოდებული დროშები წითელ ხმაურში;
ძველს მსოფლიოზე აწყვეტილი ამაყი ქარი
და აფეთქება.—კაპიტალი მძიმე ტრაურში!..

—

რევოლიუცია, კომუნა, და ანცი ნება,
ლამაზ ბრძოლებში აჰიმნული ელვის ძახილი;
თავისუფლების გიჟ რაშებით გადაჭენება—
და ნანგრევებზე აწვდილი ცეცხლის მახვილი!..

—

ლეგა ტყვიებით დაფლეთილი რკინის ღირსება
და ლეგიონი გუშაგი, დიად წარსულით;
ო, ყუჟინაში სიყვარულით გული ივსება
და უძღვნი ამ პაწია ლექსს მხედრული სულით!..

წითელი მხედარი.

მეხუთე ლეგიონის მუშაობა სამი წლის განმავლობაში.

ლეგიონის მოწესრიგებასთან ერთა ჩამოყალიბდა მისი კლუბიც. მთლიანი და დამაკმაყოფილებელი სახე კლუბმა მხოლოდ 1922 წლის დასაწყისიდან მიიღო. ის იმ თავითვე ენერგიულად შეუდგა წითელიარმიელებისთვის სკოლის გარეშე განათლების მისაღებათ მუშაობას, კლუბთან თანდათანობით არსდებოდა სხვა და სხვა წრეები და ამ ჟამათ ლეგიონში საფუძველი ჩაეყარა შემდეგ წრეებს: დრამატიულს, პოლიტიკურს, ლიტერატურულს, სასპორტოს, მომღერალთა, სამხატვროს, სამხედროს, აგრანომიულს და სხვა, სადაც წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ.

პოლიტ-წრე.

ამ წრეს მიზნათ აქვს დასახულის, შეასწავლოს წითელ-არმიელებს საბჭოთა წესწყობილება და საზოგადოთ მისცეს მათ პოლიტიკური ცოდნა. წრეში მეცადინეობის მსურველები ბევრი იყო და ეხლაც მრავალია.

წრის წევრი წითელ არმიელები გულდასმით უსმენენ ხელმძღვანელებს. საერთოდ ისინი ძლიერ დაინტერესებული არიან პოლიტიკური ცოდნით.

წრე უშვებდა დღესასწაულების დროს შესაფერის შინაარსიან ლოზუნგებს და ყოველ კვირეულ თავის ორგანოს კედლის გაზეთს, სადაც მონაწილეობას ღებულობდენ წითელი—ლაშქრელები.

ამხ. მ. მამარდაშვილი.

მე-5-თე ტერ. ლეგიონის პ-მგ. ორგანიზატორი.

ლიტ-წრე.

ლიტერატურული წრე უმთავრესად აწყობდა საჯარო ლიტერატურულ გასამართლებებს. წითელ არმიელები მეტად დაინტერესებული იყვნენ ამ საქმით და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ ყველა გასამართლებების დროს. ამას გარდა წრეში წით. არმიელები სწავლობდენ რევოლიუციონურ ლექსებს, მოთხრობებს და სხვა.

წრეში უფ-პოლიტშემადგენლობის ნაწილიც მეცადინეობდა. წრეს აქვს თავისი ჟურნალი.

დრამ-წრე.

დრამ-წრე სისტემატიურად დგმიდა სხვა და სხვა რევოლიუციონურ შინაარსის პიესებს.

ლეგიონის კარანტინში ყოფნის დროს თვით ასეულებში იმართებოდა—ინსცენიროვკები, საღამოები და სხვა და სხვა გასართობები, სადაც ყოველთვის და ყველაფერში წითელი-არმიელები ღებულობდენ მონაწილეობას.

წრე ხშირად მართავდა აგრეთვე წარმოდგენებს ლეგიონის მზრუნველობის ქვეშ აყვანილ ს. წყალტუბოში, სადაც ყოველთვის უკრავდა ჩვენივე სამხედრო მუსიკა.

სპორტ-წრე.

სპორტიულ წრეში მეცადინეობა სწარმოებს დილაობით. წევრთა რიცხვი ყოველთვის აღემატებოდა ნორმას ხშირად ეწყობოდა შეჯიბრებები ქუთაისში მყოფ რუს ნაწილებთან, საიდგანაც წრე ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. მეცადინეობა სწარმოებდა ასეულებათ, რომელსაც ყოველთვის გამოცდილი ამხანაგები ხელმძღვანელობდენ.

სამეურნეო სამხედრო, და მომღერალთა წრეები.

კლუბთან დაარსებულია აგრონომიული, სამხედრო და სასიმღერო წრეები, სადაც წითელ არმიელები ისმენდენ ცნობებს სასოფლო მეურნეობის უსაჭიროეს მოთხოვნილებებზე.

სასიმღეროში მთავარი ყურადღება ექცევა რევოლიუციონურ სიმღერებს.

სამხედროში კი გადიან სამხედრო წესწყობილებას, როგორც ს. ს. ს. რ. აგრეთვე ევროპის სახელმწიფოებისას.

სამხატვრო და სამხკორთა წრეები.

ლეგიონში არსებობდა აგრეთვე სამხატვრო წრე. ამ უკანასკნელ ხანებში კი საფუძველი ჩაეყარა სამხკორთა წრეს, რომელიც ხელმძღვანელობს ლეგიონის კედლის გაზეთს „წითელ მებრძოლს“ და, რომლის წლის თავი საგანგებოთ იქნა აღნიშნული ლეგ. თეატრში.

ბიბლიოთეკა.

კლუბთან ერთად ჩამოყალიბდა ბიბლიოთეკაც. 1923 წლის დასაწყისში მოხდა ბიბლიოთეკის გაწმენდა უვარგისი ლიტერატურისაგან, რომლის ნაცვლად მიღებული იქნა ახალი წიგნები, მაგრამ საუბედუროთ წიგნების უმრავლესობა რუსული გამოდგა და ისიც უმეტესი ნაწილი ბროშურები, რამაც ძლიერ შეუშალა ხელი პოლიტ საგანმანათლებლო მუშაობას.

გარდა ამისა ბიბლიოთეკას კავშირი აქვს ქუთაისის გარნიზონის საბიბლიოთეკო საბჭოსთან.

ბიბლიოთეკა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა კამპანიებში, რაიც გამოიხატება პლაკატების, ლოზუნგების და სარეკომენდაციო სიების შედგენაში. ხდებოდა ამა თუ იმ კომპანიის დროს წიგნების გამოფენა და ხმა მაღალი კითხვა. ბიბლიოთეკას ქონდა თავისი ყოველ კვირეული ორგანო, კედლის გაზეთი „ჩირაღდანი,“ სადაც შუქდებოდა საბიბლიოთეკო საქმეები.

ამ ჟამათ ჩვენი ბიბლიოთეკა ნაწილთან ერთად საბანაკოთ გვიდა, რომლიდანაც დღეს სარგებლობს, გარდა ჩვენი ლეგიონისა, მეოთხე და მეექვსე—ლეგიონებიც, დივიზიის სკოლა, რკინის გზის ბათალიონი და სამოქალაქო ნაწილებიც.

სკოლა.

ლეგიონის დაარსების დღიდან უმთავრესი ყურადღება ექცეოდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, რაც ყოველთვის სისრულეში მოდიოდა. ეხლაც, როგორც წინეთ, სასკოლო საქმეებს დიდი ყურადღება ექცევა და წითელ არმიელებიც დიდი ხალისით სწავლობენ.

სამხკორი ს. უ—შვილი.

ივლისის დღეების აღსანიშნავი საღამო.

1917 წლის ივლისის დღეების პირველ ლეგიონში გაიმართა საშვიდი წლის თავის აღსანიშნავათ ღამო.

საღამოზე მოწვეულ იყვნენ მეცხრე ლეგიონიდან და საგუშაგო ათასეულიდან 200-მდე წითელი მოლაშქრენი.

სიტყვებით გამოვიდენ ამხ. ამხ. ნუცუბიძე, მეცხრე ლეგიონის წარმომადგენელი მეთაური რუსულათ და ამხ. გეგელია რუსულათ.

სიტყვების შემდეგ უნდა წასულიყო კინო.

მაგრამ, რადგან ჯერ კიდევ შელამებული არ იყო, ამიტომ მუსიკამ დაუკრა ლეკური და გაიმართა გახურებული ცეკვა-თამაში.

ითამაშეს რუს ამხანაგებმაც. ყველანი კმაყოფილი დარჩნენ. თანაც შელამდა.

გამოჩნდა ეკრანზე სურათებიც.

ხამი წითელი მოლაშქრენი ვერავინ ვერ დაარწმუნა იმაში, რომ შორიდან უკეთესია სურათის ყურება და ეკრანს საჟენის სიახლოვიდან უთვალთვალებდენ.

ნაჩვენები იყო დღის შესაფერი სურათი „ოქტომბრის რევოლიუციის დღეები“, რომელიც დამაკმაყოფილებლათ ჩატარდა.

გ. ძ—ია.

პოლიტ-სკოლაში.

ქართული პოლიტ-სკოლის კულტურული მუშაობა მეტად დამაკმაყოფილებელია და სხვა სკოლების მუშაობას სრულიად არ ჩამოუვარდება.

პირიქით, ჩვენი სკოლის კომუჯრედის წევრები მიმაგრებულნი არიან სხვა ნაწილების კომუჯრედებზე პოლიტ და კულტურული მუშაობის საწარმოებლად.

დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივ გლეხებთან მუშაობას. ყოველ კვირას იმართება კრებები, სადაც მოხსენებით გამოდიან ჩვენი კურსანტები და აშუქებენ გლეხებისათვის გაუგებარ საკითხებს.

კურსანტები დაუზარებლად ასრულებენ ამ მოვალეობას.

ჩვენი სკოლა შეფად გაუხდა ერთ მახლობელ სოფელს, სახელდობრ ცოხნარას. აღნიშნულ სოფელში ჩვენმა კომუჯრედმა და ახკომკავშირმა მიამაგრა თავისი წარმომადგენლები და ამნაირად იქ გაცხოველდა პოლიტ მუშაობა. სოფლისთვის გამოწერილი გვაქვს ყველა ქართული ჟურნალ—გაზეთები. ვაპირებთ აგრეთვე ქოხ-სამკითხველოს გახსნას.

მრავალი საკითხების შესახებ ჩატარებული იქნა ადგილობრივ გლეხობაში ფართო კომპანიები.

ამნაირად კურსანტების მთელი გულის ყური იქეთკენაა მიქცეული, რომ რაც შეიძლება მეტი გაკეთდეს გლეხობის გათვითცნობიერების საქმეში.

სამხკ. ლეჟავა.

ერთიანი რიგებით.

საარტილერიო პარკში პოლიტ.საგანმანათლებლო მუშაობა კარგად მიმდინარეობს. ყველა წრეები ენერგიულად მუშაობს. ხშირად ხდება წრეების შეჯიბრება ერთმანეთში, რასაც მეტად დადებითი შედეგები მოაქვს. საერთო კრებებზე ამა თუ იმ საკითხებზე მოხსენებით გამოდიან წითელ არმიელები.

აღსანიშნავია პარკის უფშემადგენლობის მუშაობა კულტგანმანათლებელ ფრონტზე.

საღამოს 5 საათიდან ისინი თავს დასტრიალებენ წითელ მოლაშქრეებს და მათთვის საინტერესო საკითხებზე აძლევენ სათანადო ახსნა განმარტებას.

გამოვიდა მე-4 ნომერი პარკის კედლის გაზეთის „ყუმბარის ნატეხი“, რომელსაც ამშვენებს წითელი მოლაშქრეების შემოქმედება.

აქაც მოწოდება უფ. შემადგენლობის მიერ წითელ მოლაშქრებისადმი აღზრდა განვითარებისაკენ.

ასე, რომ მთელ ენერგიას უფრ. შემადგენლობა წითელი მოლაშქრეების კულტურულად მომზადებისათვის ხარჯავს.

ამიტომ ამათ შორის დიდ სიყვარულს და პატივის ცემას აქვს ადგილი.

გაუმარჯოს პარკის უფრ. შემადგენლობის და წითელი მოლაშქრეების ძმურ კავშირს.

სამხკორი: **ჩხიკვიშვილი.**

პარტიული ცხოვრება.

12 ივლისს, ქართულ ლაშქრის 1-ლ მსროლელ დივიზიის უმც. მეთ. სკოლაში შესდგა კომუჯრედის და ახ-კავშირის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ახ. კავშირის 35 წევრი და 14 პარტიული.

კრება იხსნება ერთ ერთ პატარა მთის კალთაზე, ბუნების წიაღში.

კრება ამტკიცებს დღის წესრიგს და წარსულ კრების ოქმს.

საღამოა. საათის 6. მთების ჩრდილი გადაეფარა მთელი ბანაკის მიდამოებს. კურსანტები სხედან. სიჩუმეა. სოფ. ფონაზე შეფობის აღების შესახებ სიტყვას იღებს ამხ სამხკომი, რომელიც მოითხოვს კულტურულ და სამეურნეო დახმარებას. ამ განცხადებას ყველანი სიხარულით ხვდებიან და ირჩევენ აღნიშნული საქმის მოსაგვარებლად სამეულს. საერთო მუშაობის გამოცხოველების შესახებ ლაპარაკობენ კურსანტების მთელი რიგი და პოლიტ-მომუშავენი, რომლებიც მოითხოვენ ყოველგვარ საქმიანობაში, რაც შეიძლება მეტ პარტიულების ჩაბმას.

აგრეთვე გაშუქებულ იქნა ახ. კავშირის წრიული მუშაობა და ბოლოს კრებამ აირჩია უშვერ სიტყვების წინააღმდეგ მებრძოლი სამეული.

მიმდინარე კითხვებში შამოდის განცხადებების მთელი რიგი, რომლებიც ეხებოდენ ახ კ. წევრის ა) ლეკიშვილის არა კომუნისტურ საქციელს, ბ) ხონელიძის, ხანდამოვის და რუსიას ცუდ ყოფაქცევას და გ.) ტყვია მფრქვევ. ოცეულის უფროსის თანაშემწე ქეიშვილის, მორიგეობისას სიმთვრალის გამო განწესებაზე დაგვიანებას და სხვა.

უკანასკნელი კითხვები გადაეცა განსახილავად პრეზიდიუმს.

ე. ც.

საბიბლიოთეკო ცხოვრებიდან.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ივლისის პირველ რიცხვებში, მოსკოვში დანიშნული იყო სრულიად საკავშირო სამხედრო ნაწილების საბიბლიოთეკო გამოფენა და კონფერენცია.

15 ივლისს საგარნიზონო კლუბში ეხლახან კონფერენციიდან დაბრუნებულმა ამხ. პოპოვმა ტფილისის სამხედრო ნაწილების ბიბლიოთეკარებს—ნაწილობრივ გააცნო კონფერენციის საერთო მუშაობის ერთ-ერთი მხარე—სახელდობრ, სამხედრო სექციის მოქმედება...

საერთოთ, კონფერენციას მეტათ საქმიანი ხასიათი ქონია და მისი გახსნის პირველ ხანებში, ამხ. ტროცკის მოხსენების „საბიბლიოთეკო მუშაობაზე“ და მეხუთე კონგრესის დელეგატების მისალმებით, პირდაპირ არაჩვეულებრივი საზეიმო ხასიათი მიუღია,—როგორც გადმოგვცემს ამხ. პოპოვი. კონფერენციას დასწრებია 500 კაცი—ამათგან 200 გადამწყვეტი ხმით და 300 კი სათათბიროთი. წარმოდგენილი ყოფილა თითქმის ყოველი შორეულ-მიყრუებული კუთხის დელეგატებიც-კი, რაც თავის თავათ ამტკიცებს კონფერენციისა და მასზე დასმულ საკითხების დიდმნიშვნელოვანებას.

მეტათ საინტერესო სურათები გადაგვიშალა ამხ. პოპოვმა, კონფერენციიდან მიღებული, ხალხის ფართო მასებში განათლების შეტანიდან, ქოხ-სამკითხველოების ცხოვრებიდან და სხვა... აქედან ნათლათ ჩანდა, თუ როგორი სიძლიერით ეტანება გაუნათლებელი მასსა წიგნსა, მაგრამ ბევრი დამაფიქრებელი, არანორმალური მოვლენებიც გვამცნო... მაგ. რუსეთის ერთ-ერთ განაპირა კუთხეში, მკითხველთა საერთო რიცხვიდან, 92 პროც. მკითხველებისა 18 წლამდე აღმოჩნდა, ე. ი. საზოგადოების ყველაზე უფრო მომწიფებული, ცხოვრებაში გამოსული და ახალ სახელმწიფოს შემქნელნი—18 წლის ზემოთ—მხოლოთ მკითხველთა 8 პროც. წარმოადგენს... ეს ცხადია ანორმალობაა და უნდა ვიფიქროთ, რომ სათანადო ორგანოები მთელი ძალღონით შეებრძოლებიან ასეთ მოვლენებს ყველგან, სადაც კი მათ ადგილი ექნებათ.

მეტად საყურადღებო ყოფილა ამხ. ტროცკის მოხსენება—რომელსაც აღტაცებით მიგებებია კონფერენცია. ამ დღეს, კონფერენციის დარბაზი თურმე, მრავალრიცხოვან სტუმრებს იტევდა. ამხ. ტროცკის მოკლეთ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ეხლა ჩვენ ვახდენთ კულტურულ რევოლიუციას, რომელიც არც ისე ადვილი და უმნიშვნელოა... პოპოვის სიტყვით ეს მოხსენება ცალკე წიგნათ დაიბეჭდება და ამ ცოტა ხანში ჩვენც მივიღებთ...

შემდეგ აგრეთვე გამოსულა ამხ. კრუპსკაია მოხსენებით „ბიბლიოთეკის მნიშვნელობა წ. კ. უცოდინართა ლიკვიდაციისათვის“ და ასე შემდეგ სხვა მოხსენებები.

კონფერენციაზე მნიშვნელოვანი დასკვნები გამოუტანიათ—სამხედრო სექციის მუშაობაზე, როგორიცაა: შტატების გადიდება, ჯამაგირების მომატება ბიბლიოთეკარებისთვის და სხვა.

საერთოთ კონფერენცია მცირე დის-ნანს გარდა—ერთსულოვნებით და საქმისადმი დიდი ყურადღებით ჩატარებულა.

23 ივლისს იმავე ადგილას, დანიშნულია ამხ. მურადოვას (მეორე ჩვენი დელეგატია კონფერენციის) მოხსენება კონფერენციის მუშაობის სხვა მხარეების შესახებ.

ანგარიშების გაცნობა სამხედრო ბიბლიოთეკარებისთვის—ამგვარი მოხსენებებით ხდება—თუმცა ყრილობის ანგარიშებიც მალე დაიბეჭდება ცალკე წიგნათ მოსკოვში.

გრიან.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი დროშა“ № 19 (1-ლ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის ორგანო).

ხსენებულ ასეულს საგარნიზონო განწესებისათვის აქ დატოვებული ყავს წითელ არმიელების ნაწილი; თუმცა კულტურული ძალები ნაკლები არიან (ასეულის საკარვოდ გასვლის გამო), მაგრამ კედლის გაზეთის გამოცემას მაინც სისტემატიურად განაგრძობენ და ისეთი მიმზიდველობით და ცოდნით, როგორც ასეულის აქ ყოფნის დროს; არმიელები სულაც არ იმჩნევენ თავიანთ სიმცირეს და გაზეთს სისტემატიურად და ლამაზად სცემენ. გაზეთში მოთავსებულია ყველა განყოფილებები პატარა-პატარა წერილებით. ეხლა გამოვიდა მე-19 №, საჰაერო ფლოტის საზეიმო დღისთვის.

შინაარსი: 1. საჰაერო ფლოტის დღე, (მოწინავე) 2. „დობროქიმი“, 3. ასეულის ცხოვრება: ა) ცოტა რამ სისუფთავის შესახებ,—ხაუჩისპირელისა, ბ) უექიმობა ასეულში დაუშვებელია,—რ. ძესი, გ) ცნობა ბანაკზე—ი. ქ—ლისა. პოეზია: აეროპლანი—ლექსი ა. გიოშვილისა, პროზა: სიზმარ-ცხადი—ა. ლაკ-ისა. და ბ) სცენა ძალში—ა. აბუასი.

გაზეთი შინაარსიანია და მასალებიც კარგი და რიგზე დალაგებული, მაგრამ არაა მხატვრობა და დაწერილია ფანქრით, ეს კი უკარგავს მას შთაშეჭდილებას.

შემდეგისათვის ალბად ჩვენი საკავშიროელები გამოასწორებენ ამ ნაკლს.

სანი.

ახალი ამბები.

— **წითელ დროშოვანი არმიის ოლიმპიადა.** ქალაქის აღმასკომმა გადასცა ამიერ-კავკასიის წითელ დროშოვან არმიას 300 მანეთი ახლო ხანში ოლიმპიადის მოსაწყობად.

— **ეპიდემიასთან ბრძოლა.** ეპიდემიასთან საბრძოლველად ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 500 მანეთი ქალაქის აღმასკომის მიერ.

— **სამხედრო ორკესტრი მილიციისათვის.** ქალ. აღმასკომმა გადასცა 500 მანეთი მილიციის საჭიროებისათვის ორკესტრის მოსაწყობათ.

— **ბრძოლა ციებ-ცხელებასთან.** ციებ-ცხელებასთან ბრძოლის მიზნით სენაკში მოეწყო სამალარიო სადგური.

— **წითელი თეატრი.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა წითელი თეატრის შესანახად, ყოველწლიურად გაიღოს თორმეტი ათასი მან.

— **გლეხკომებს ხელს უწყობენ.** ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველომ წინადადებით მიმართა თავის განყოფილებებს ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ყოველ მხრივ გლეხკომებს.

— **სამკურნალო ბალახების შეგროვება.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა მისწერა ჯანმრთელობის კომისარიატს და წითელი ჯვრის საზოგადოებას, რომ მათ გადაუგზავნონ გლეხკომებს იმ მცენარეულობათა სია, რომელნიც სამკურნალოთ გამოდგებიან.

— **კინო სოფლად.** ქალ. ონში გაიხსნა თეატრი, რომელიც გადაეცა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას.

— **წერა კითხვის უცოდინარობა რაჭაში.** რაჭის მაზრაში გახსნილია 42 წ.—კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც წერა-კითხვა ისწავლა 1.725 კაცმა.

— **სახელმწიფო ცხენთა საჯიშო.** სახელმწიფო ცხენთა საჯიშოს შესანახათ ქალ. აღმასკომმა გადასდო 7.000 მანეთი.

— **მიწების ჩამორთმევა ვაჭრებისათვის.** რაჭის სამაზ. აღმასკომის დადგენილებით ჩამოერთვათ მიწები ქალ. ონის რამოდენიმე ვაჭარს.

— **ნიავღვარისაგან მიყენებული ზარალი.** უკანასკნელათ მოსულმა დიდმა ნიავ-ღვარმა ძლიერ დააზარალა საფოდნო მამულები და დანგრია სახელმწიფო შენობები. დაზიანებული შენობები გადააქვთ ცაგერში.

ნ, დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.